ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 29(ბ)

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2018 წლის „26“ „თებერვალს“ ქ.თბილისში

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის” მოთხოვნათა შესაბამისად და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, **სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით**, გამარტივებული შესყიდვით. („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ზ” ქვეპუნქტის საფუძველზე) (CPV კოდი 63700000; 63712400.)

ერთის მხრივ სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო (შემდგომში **შემსყიდველი**) სააგენტოს უფროსის მოადგილის ნათია იორდანიშვილის სახით, **მისამართი:** ქ.თბილისი, გ. გულუას ქ. № 6. ს/კ 204578581. **ტელ:** 2753910. **საბანკო რეკვიზიტები:** ცენტრალური ხაზინა, კოდი TRESGE22, ა/ა GE24NB0330100200165022. (კოდი: 311001) **ხოლო მეორეს მხრივ** შ.პ.ს. „სი-ტი პარკ” (შემდგომში **მიმწოდებელი**) მისი გენერალური მენეჯერის ბინიამინ ლაჰავის სახით, **მისამართი:** ქ.თბილისი, კანდელაკის ქ. № 47; ს/კ 204543770; **ტელ:** 2555123. **საბანკო რეკვიზიტები:** ს.ს. „თიბისი ბანკი", ბანკის კოდი: TBCBGE22, ა/ა GE75TB7721336070100003. ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის კუთვნილი 10 (ათი) ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის (ავტომანქანების სახელმწიფო ნომრები: GN014FA; GN030FA; GN070FA; GN077FA; GN088FA; GN089FA; GN100FA; GN200FA; GN201FA; GN205FA.) ერთწლიანი პარკირების საფასურის გადახდა და შესაბამისად პარკირების სისტემაში გააქტიურება (შემდგომში მომსახურება) ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ღირებულება და მომსახურების ერთეულის ფასი

2.1 მთლიანი სახელშეკრულებო თანხა მიმწოდებლისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის გათვალისწინებით შეადგენს **500 (ხუთასი)** ლარს.
2.2 ერთი ავტომანქანის ერთწლიან პარკირების სისტემაში გააქტიურების საფასური შეადგენს 50 (ორმოცდაათი) ლარს.

3. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული გასაწევი მომსახურებისათვის ფორმდება შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაცია.
3.2 შემსყიდველის კუთვნილი ავტომანქანის პარკირების სისტემაში გააქტიურებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში უნდა განხორციელდეს შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის (მათ შორის: მიღება-ჩაბარების აქტი) გაფორმება.
3.3 შემსყიდველის მხრიდან საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირი არის სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს საფინანსო და ადმინისტრაციული საქმიანობის მართვის სამსახურის უფროსი ბესარიონ კიწმარიშვილი.

4. მომსახურების განხორციელების ვადები და ადგილი

4.1 მომსახურება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის კუთვნილი ავტომანქანის პარკირების სისტემაში გააქტიურებიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში, ხოლო შემსყიდველის კუთვნილი ავტომანქანის პარკირების სისტემაში გააქტიურება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში.
4.2 მომსახურების მიწოდება განხორციელდება ქ. თბილისის მასშტაბით.

5. ანგარიშსწორების პირობები

5.1 ხელშეკრულების ღირებულების გადახდა მოხდება საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმების საფუძველზე, საქართველოს ეროვნული ვალუტით, უნაღდო ანგარიშსწორებით, მიმწოდებლის მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით, მხარეთა შორის წინასწარ შეთანხმებული ფასების შესაბამისად.
5.2 ანგარიშსწორება განხორციელდება საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა.

6. ცვლილებები

6.1 ხელშეკრულებაში წინასწარ შეთანხმებული ფასების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის. ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის” 398-ე მუხლის თანახმად.
6.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7. ფორს-მაჟორი

7.1 ხელშეკრულების პირობების დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როცა რომელიმე მხარე ვერ მოახერხებს თავისი მოვალეობის შესრულებას საყოველთაოდ აღიარებული ფორს-მაჟორული მოვლენების ზემოქმედების გამო.

7.2 ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრის შემდეგ მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ახალ ვადებზე.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფი: სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს საფინანსო და ადმინისტრაციული საქმიანობის მართვის სამსახურის, შესყიდვებისა და ლოჯისტიკის განყოფილების მთავარი სპეციალისტი ირაკლი ბარამიძე და ამავე განყოფილების მოწვეული სპეციალისტი არჩილ ჭანკვეტაძე.

9. მხარეთა უფლება – მოვალეობანი

9.1 ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით. უთანხმოების შემთხვევაში დავა განიხილება სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2 წინამდებარე ხელშეკრულების პირობები ვრცელდება მხარეებსა და მათ წარმომადგენლებზე.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1 ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, კერძოდ, თუ მხარეები არაჯეროვნად ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში ვერ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, დადგება მათი პასუხისმგებლობა, რომელიც განისაზღვრება ჯარიმით – ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1 პროცენტის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

10.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით ან მხარეთა მიერ მათზე დაკისრებული ვალდებულებების საბოლოო შესრულებამდე.

12. სხვა პირობები

12.1 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომლებიც ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან (ერთი – შემსყიდველთან, ერთი – მიმწოდებელთან).

„შემსყიდველი"

ნათია იორდანიშვილი

სააგენტოს უფროსის მოადგილე

„მიმწოდებელი"

GEORGIA "CT PARK" LTD 204543720

ბენიამინ ლაჰავ

შ.პ.ს. „სი-ტი პარკ"-ის გენერალური მენეჯერი